ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-0326051108-03
თარიღი: 20.02.2026 19:11
ვადა: 23.03.2026

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01260513601 განცხადების თარიღი: 20.02.2026
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი - საკრებულოს დადგენილების პროექტი

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-0326051108-03
20.02.2026 : 19:11
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01260513601**
თარიღი: **20/02/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 33 გვერდი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ნომერი: 17-01260512969-01
თარიღი: 20.02.2026 15:59
ვადა: 23.03.2026

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო
მისამართი: თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, ჩიხი N5
განცხადების N: 73-01260512634 განცხადების თარიღი: 20.02.2026
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

საკრებულოს დადგენილების პროექტი

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 17-01260512969-01
20.02.2026 : 15:59
ქ. თბილისი, უ.შარტავას ქ. N7

წერილის ნომერი: **73-01260512634**
თარიღი: **20/02/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს

ანდრია ბასილაიას

ბატონო ანდრია,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარსადგენად გიგზავნით ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის“ დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტებს.

დანართი: 31 ფურცელი.

ნიკოლოზ არაგველი

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №--------

2026 წლის -- თებერვალი

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის და „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი“, დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილება.

3. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი ივლისიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი (შემდგომში - წესი) ადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შემდგომში - ქალაქი თბილისი) შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ღონისძიებებს. წესი, აგრეთვე, განსაზღვრავს შინაური ბინადარი ცხოველებისათვის, როგორც ცოცხალი არსებებისათვის მინიჭებულ ბუნებრივ უფლებებს და მათი დაცვის მექანიზმებს.

2. ამ წესის მიზანს წარმოადგენს შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველების თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა და ამასთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრა-მართვა.

3. ამ წესის ამოცანებს შეადგენს ქალაქ თბილისში:

ა) შინაური ბინადარი ცხოველისა და ადამიანის დაცვა სხვა შინაური ბინადარი ცხოველისგან მომდინარე საფრთხეებისგან;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის დაცვა არასათანადო და სასტიკი მოპყრობისგან;

გ) პატრონაჟის, ზედამხედველობისა და შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით მათი კლასიფიკაცია;

დ) შინაურ ბინადარ ცხოველებთან მოპყრობის და მათი მოვლა-პატრონობის ჰუმანური მეთოდების დანერგვა;

ე) შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლი, საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული ჰუმანური მეთოდების გათვალისწინებით;

ვ) საიმედო და უსაფრთხო ზოოანთროპონოზური, განსაკუთრებით რაბიოლოგიური და პარაზიტოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

ზ) ურბანულ გარემოში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მოწესრიგების ხელშეწყობა;

თ) მეპატრონის/მიმკედლებლის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება;

ი) ამ წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრა;

კ) შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში, შინაური ბინადარი ცხოველის მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად.

ლ) ცხოველთა მართვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვის გეგმურ და არაგეგმურ მონიტორინგს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **შინაური ბინადარი ცხოველი** (შემდგომ – ცხოველი) – პატრონიანი, მიკედლებული, უპატრონო, უმეთვალყურეო ძაღლი ან კატა, რომელიც გამოიყენება სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ან/და ფუნქციური დანიშნულებით;

ბ) **ცხოველის მეპატრონე** (შემდგომ – მეპატრონე) – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში ჰყავს ცხოველი და რომელიც უზრუნველყოფს მის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, სტერილიზაციას/კასტრაციას, მოვლა-პატრონობას, მათ შორის, ვეტერინარულ მომსახურებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) **პატრონიანი ცხოველი** –ცხოველი, რომელსაც ჰყავს ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგისტრირებული მეპატრონე;

დ) **უპატრონო ცხოველი** – ცხოველი, რომელსაც არ ჰყავს ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მეპატრონე ან ცხოველის მიმკედლებელი;

ე) **მიკედლებული ცხოველი** – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ცხოველი, რომლის მეთვალყურეობას უზრუნველყოფს ცხოველის მიმკედლებელი;

ვ) **უმეთვალყურეო ცხოველი** – ცხოველი, რომელსაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ უდგინდება მეპატრონე ან ცხოველის მიმკედლებელი;

ზ) **ცხოველის მიმკედლებელი** (შემდგომ – მიმკედლებელი) – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ცხოველის მეთვალყურე ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილ ორგანოში ცხოველის რეგისტრაციის საფუძველზე ახორციელებს მის კვება-დარწყულებას და რომელსაც უფლება აქვს, უზრუნველყოს იგი ვეტერინარული მომსახურებით;

თ) **ცხოველის კეთილდღეობა** – ცხოველის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო პირობების შექმნა, რომლებიც მოიცავს ცხოველის ხელმისაწვდომობას საკვებსა და წყალზე, დაავადების პრევენციას, მის დაცვას ტკივილისა და ტანჯვის მიყენებისგან;

ი) **ცხოველის მოვლა-პატრონობა** – ცხოველისთვის აუცილებელი საარსებო გარემოს შექმნა შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვით, მისი კვება-დარწყულება, რეგულარული გასეირნება, სოციალიზაცია, ვეტერინარული მომსახურებით უზრუნველყოფა, დაავადებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, ცოფისა და სხვა დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაცია, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ცხოველის კეთილდღეობისთვის აუცილებელი სხვა პირობების უზრუნველყოფა;

კ) **კინოლოგიური დაწესებულება** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს საკონსულტაციო/საგანმანათლებლო მომსახურებას, მათ შორის, ძაღლის მოშენების, წვრთნის, სოციალიზაციის, ქცევის კორექციისა და მოვლა-პატრონობის მიმართულებებით, აგრეთვე უზრუნველყოფს "შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მომსახურებას ცხოველთა (ძაღლების) მართვის სფეროში;

ლ) **ფელინოლოგიური დაწესებულება** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს საკონსულტაციო/საგანმანათლებლო მომსახურებას, მათ შორის, კატის მოშენების, სოციალიზაციის, ქცევის კორექციისა და მოვლა-პატრონობის მიმართულებებით, აგრეთვე უზრუნველყოფს "შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მომსახურებას ცხოველთა (კატების) მართვის სფეროში;

მ) **ვეტერინარული დაწესებულება** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს ვეტერინარულ მომსახურებას;

ნ) **ცხოველის ევთანაზია** – მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უფლებამოსილი პირის (ვეტერინარის ან ვეტერინარი ტექნიკოსის) მიერ ცხოველისთვის სიცოცხლის შეწყვეტა ჰუმანურად, მყისიერად და უმტკივნეულოდ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებით ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებით;

ო) **ცხოველის იდენტიფიკაცია** – მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ცხოველის ნიშანდება მიკროჩიპით/ტრანსპონდერით, საყურე ნიშნით (საჭდით), ხოლო კატის შემთხვევაში – აგრეთვე ვეტერინარული წესებით დასაშვები სხვა მეთოდით;

პ) **ცხოველის რეგისტრაცია** – მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ იდენტიფიცირებული ცხოველის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში შეტანა, აგრეთვე სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა;

ჟ) **მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო** – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი, რომლის კომპეტენციას წარმოადგენს ქალაქ თბილისში

ცხოველების მონიტორინგი და პოპულაციების მართვა-კონტროლის ორგანიზება, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად;

რ) **საბელი** – საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის გადაადგილების კონტროლს;

ს) **ალიკაპი** – მოწყობილობა, რომელიც ძაღლს უმაგრდება დრუნჩზე ან თავზე და განკუთვნილია სხვა ცხოველისა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ტ) **ცხოველის გადამეტებული აგრესია** – ცხოველის ისეთი ქცევითი დისბალანსი, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა ცხოველის ან/და ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და შეუძლებელს ხდის ამ ცხოველის შემდგომ სოციალიზაციას;

უ) **ცხოველის გასეირნება** – ცხოველის გადაადგილება ღია სივრცეში ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი მეთვალყურეობით;

ფ) **ცხოველების მოშენება** – ცხოველების მიზნობრივი და გეგმაზომიერი გამრავლება;

ქ) **ცხოველის პოპულაციის მართვა** – ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და გამრავლების უნარის შეწყვეტა სტერილიზაციით/კასტრაციით;

ღ) **ცხოველების თავშესაფარი** (შემდგომ – თავშესაფარი) – მუნიციპალური თავშესაფარი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული კერძო თავშესაფარი;

ყ) **ვაქცინაცია** – ცხოველის ორგანიზმში დაავადებების საწინააღმდეგო ანტიგენის (ანტიგენების) შეყვანა დაავადებების მიმართ იმუნიტეტის (ორგანიზმის დამცველობითი უნარის) ჩამოსაყალიბებლად;

შ) **კასტრაცია** – ხვადი ცხოველისთვის გამრავლების უნარის შეწყვეტა;

ჩ) **სტერილიზაცია** – ძუ ცხოველისთვის გამრავლების უნარის შეწყვეტა;

ც) **ცხოველების ორთაბრძოლა** – ცხოველის შებრძოლება თავისივე ან სხვა სახეობის ცხოველთან შეჯიბრების ან სხვა მიზნით;

ძ) **მარეგისტრირებელი ორგანო** – მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, ვეტერინარული დაწესებულება, ცხოველების თავშესაფარი და ცხოველების საშენი;

წ) **ვეტერინარული მომსახურება** – ცხოველთა სნეულებების პროფილაქტიკა და მათი მკურნალობა, ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი სხვა მომსახურება;

ჭ) **მიკროჩიპი/ტრანსპონდერი** – წაკითხვადი პასიური რადიოსიხშირული იდენტიფიკაციის საშუალება, სპეციალური ინფორმაციის მატარებელი იმპლანტი, რომლის საშუალებითაც მონაცემთა ერთიან ბაზაში ასახული იქნება ცხოველისა და მისი მეპატრონის შესახებ ინფორმაცია;

ხ) **საყურე ნიშანი** (საჭდე) – იდენტიფიკაციის საშუალება, რომელიც შეიცავს საიდენტიფიკაციო ნომერს და მონაცემთა ერთიან ბაზაში ცხოველის შესახებ ინფორმაციის ასახვის შესაძლებლობას იძლევა;

ჯ) **ცხოველების საშენი** (შემდგომ – საშენი) – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც "შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით ახორციელებს ცხოველების მიზნობრივ და გეგმაზომიერ მოშენებას;

ჰ) **სანაშენე ცხოველი** – ცხოველი, რომლის ჯანმრთელობა, ჯიშიანობა და მოსაშენებლად ვარგისობა დადასტურებულია ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით და რომელიც განკუთვნილია მიზნობრივი და გეგმაზომიერი მოშენებისთვის;

ჰ)[1] **კინოლოგი** – ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უნარები და ცოდნა ძაღლის მოშენების, წვრთნის, სოციალიზაციისა და ქცევის კორექციის მიმართულებებით;

ჰ)[2] **ფელინოლოგი** – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საკონსულტაციო მომსახურებას კატის მოვლა-პატრონობის, მოშენების, სოციალიზაციისა და ქცევის კორექციის მიმართულებებით;

ჰ)[3] **ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობები** - შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული ცხოველის მეპატრონის ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღება, ცხოველის მეპატრონის საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, ხანგრძლივი პერიოდით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება, ცხოველისგან ცხოველის მეპატრონის ხანგრძლივი პერიოდით იძულებითი მოცილება;

ჰ)[4] **ცხოველის მეპატრონის დადგენის ან ახალი მეპატრონის მოძიების ქმედითი ღონისძიებები** – ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში, 10 დღის პერიოდით, ცხოველის ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში, გაწეული ვეტერინარული მომსახურება, მონაცემები ცხოველის პოვნის გარემოებების, მისი მეპატრონისა და ცხოველის მოვლა-პატრონობის პირობების შესახებ და სხვა) გამოქვეყნების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ვებგვერდზე, ასევე, ცხოველთა შესახებ არსებულ სხვა პროაქტიულ სივრცეში (ვებგვერდები, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფორუმები, სხვა მედიასაშუალებები);

ჰ)[5] **ცხოველთა კლასიფიკაცია** – ამ წესით დადგენილი ცხოველთა ჯგუფების სისტემა, მათი სტატუსის განსაზღვრის, მათზე ზედამხედველობისა და მოვლა-პატრონობის განხორციელების მიზნებისთვის;

ჰ)[6] **სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი ნორმები;

ჰ)[7] **დეჰელმინთიზაცია** – ცხოველის ორგანიზმიდან პარაზიტების გამოდევნა;

ჰ)[8] **ასისტენტი ძაღლი** – ძაღლი, რომლის მეპატრონედ მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია უსინათლო ან მხედველობადაქვეითებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი.

ჰ)[9] **პოტენციურად მომეტებული რისკის ძაღლი** – ძაღლი, რომელმაც თავისი ფიზიკური მახასიათებლიდან გამომდინარე (მათ შორის, ზომა, წონა) ან/და არასათანადო წვრთნისა და ქცევის საფუძველზე მომეტებული საფრთხე შეიძლება შეუქმნას სხვა ცხოველის ან/და ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ტერმინები თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 3. ცხოველთა კლასიფიკაცია

1. ურბანულ გარემოში ბინადარ ცხოველებს ენიჭებათ ერთ-ერთი შემდეგი სტატუსი:

ა) პატრონიანი;

ბ) მიკედლებული;

გ) უმეთვალყურეო;

დ) უპატრონო.

2. პატრონიანის სტატუსი ენიჭება ცხოველს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მესაკუთრის განცხადების საფუძველზე დარეგისტრირდება ცხოველების რეგისტრაციის განმახორციელებელი შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ.

3. მიკედლებულის სტატუსი ენიჭება ცხოველს, შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ცხოველის ამგვარად რეგისტრაციის მომენტიდან.

4. უმეთვალყურეოდ ითვლება ცხოველი, რომლის მიმართ ტარდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები, ასევე მეპატრონის ან ცხოველის მიმკედლებლის მიერ მეთვალყურეობის გარეშე განზრახ მიტოვებული ცხოველი.

5. უპატრონოს სტატუსი ენიჭება ცხოველს, რომელსაც არ ჰყავს ან არ უდგინდება მეპატრონე ან მიმკედლებელი.

6. პატრონიანისა თუ უპატრონოს სტატუსი უდგინდება უმეთვალყურეო ცხოველს, მისთვის მეპატრონის დასადგენად ან ახალი მეპატრონის მოძიების მიზნით გასატარებელი შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების დაწყებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ცხოველის მეპატრონე

1. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს შეიძინოს, აიყვანოს (თავშესაფრიდან ან ქუჩიდან), იჩუქოს ან მიიღოს მემკვიდრეობით ცხოველი, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

2. რეგისტრირებული ცხოველი წარმოადგენს ცხოველის მეპატრონის საკუთრებას.

3. ცხოველის მეპატრონეს ეკრძალება საკუთრებაში კონკრეტულ მისამართზე ან/და ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე ერთდროულად 5-ზე მეტი ცხოველის (გარდა ამ ცხოველთა ნაშიერისა, რომელთა ასაკი არ აღემატება 6 თვეს) ყოლა, თუ ეს მისამართი ან/და ტერიტორია არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ცხოველთა თავშესაფრის მინიმალურ სტანდარტებს.

მუხლი 5. ცხოველების რეგისტრაცია და მონაცემთა ერთიანი ბაზის წარმოება

1. მონაცემთა ერთიან ბაზაში ცხოველთა რეგისტრაცია ხორციელდება ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2. მონაცემთა ერთიან ბაზაში ფიზიკური პირი მეპატრონედ შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ 16 წლის ასაკის მიღწევისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით გათვალისწინებული ნასამართლობის არქონის შემთხვევებში.

3. პოტენციურად მომეტებული რისკის ძაღლის მეპატრონედ რეგისტრაციისთვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისა, სავალდებულოა ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა.

4. ცხოველთა მარეგისტრირებელი ორგანოებია:

ა) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო;

ბ) ვეტერინარული დაწესებულება;

გ) ცხოველების თავშესაფარი;

დ) ცხოველების საშენი.

5. მეპატრონის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრე ვალდებულია დარეგისტრირდეს მეპატრონედ მონაცემთა ერთიან ბაზაში. თუ მემკვიდრე საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველისთვის ახალი მეპატრონის მოძიება, ხოლო ახალი მეპატრონის მოძიების შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი თავშესაფარში გადაყვანა.

6. მიკედლების საფუძველია მიმკედლებლის რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

7. მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) გაიაროს მიკედლების რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში;

ბ) მიკედლებაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს მიმკედლებლად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით;

გ) მიკედლებული ცხოველის სიკვდილის შემთხვევაში, ამის შესახებ ერთი თვის განმავლობაში აცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს მონაცემთა ერთიან ბაზაში მიმკედლებლად რეგისტრაციის გაუქმების მიზნით.

8. მეპატრონის/მიმკედლებლის ცვლილების შემთხვევაში ახალი მეპატრონის/ მიმკედლებლის რეგისტრაციის მიზნით სავალდებულოა ცვლილების შეტანა მონაცემთა ერთიან ბაზაში, 30 კალედარული დღის განმავლობაში.

9. მიკროჩიპის/ტრანსპონდერის ან საყურე ნიშნის (საჭდის) დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მეპატრონე/მიმკედლებელი ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს ცხოველის განმეორებითი იდენტიფიკაციის მიზნით.

10. ცხოველის რეგისტრაციისას, გაიცემა ამ წესის დანართი №1-ით დადგენილი სარეგისტრაციო მოწმობა, ხოლო ცხოველს ენიჭება სარეგისტრაციო მოწმობის ნომრის შესაბამისი პირადი ნომერი. ცხოველის პატრონის საცხოვრებელი ან/და ცხოველის ბინადრობის ადგილის, საკონტაქტო ან სხვა სარეგისტრაციო მონაცემების შეცვლისას, რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანო უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების შეტანას სარეგისტრაციო მონაცემებში.

11. ცხოველის რეგისტრაციის განმახორციელებელი შესაბამისი დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ამ წესით გათვალისწინებული ცხოველთა ახალი სარეგისტრაციო და ჩატარებული ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია) შესახებ მონაცემების უსასყიდლოდ, ამ წესის დანართი №2-ის მიხედვით წარდგენა უფლებამოსილ ორგანოში, ყოველთვიურად ან დაუყოვნებლივ, მოთხოვნის შემთხვევაში. აღნიშნული მონაცემების წარდგენა ხორციელდება ელექტრონული სახით, უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალურ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე (e-mail) ან სხვა ელექტრონული საშუალებით (ვებგვერდი, სპეციალური ელექტრონული პროგრამა და ა.შ.).

12. ცხოველის პატრონი ვალდებულია ცხოველის რეგისტრაციის მომენტისთვის ან რეგისტრაციის მომენტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს ცხოველის

იდენტიფიკაციის შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იდენტიფიკატორი უნდა იძლეოდეს ცხოველის პირადი ნომრის და იდენტიფიკაციის განმახორციელებლის დადგენის შესაძლებლობას. ამასთან, პირი, რომელიც ახდენს ცხოველზე საიდენტიფიკაციო საშუალების განთავსებას, ვალდებულია აწარმოოს მის მიერ იდენტიფიცირებული ცხოველების რეესტრი, რომელსაც, მასში ახალი მონაცემების შეყვანიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ან მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, უსასყიდლოდ წარადგენს უფლებამოსილ ორგანოში, ამ წესის დანართი N 3-ის მიხედვით. აღნიშნული მონაცემების წარდგენა ხორციელდება ელექტრონული სახით, უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალურ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე (e-mail).

მუხლი 6. ცხოველის შენახვასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული მეპატრონის ვალდებულებები

1. ცხოველის მეპატრონე პასუხისმგებელია ცხოველის ჯანმრთელობაზე, მოვლა-პატრონობაზე და მის კეთილდღეობაზე, ასევე სხვა ადამიანებისა და ცხოველების მიმართ საკუთარი ცხოველისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებაზე.

2. ცხოველის მეპატრონე ვალდებულია აანაზღაუროს მის საკუთრებაში მყოფი ცხოველის მიერ მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ცხოველის მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველის შენახვა და მოვლა-პატრონობა, კონკრეტული ჯიშის ცხოველის ბიოლოგიური და ეტოლოგიური თავისებურებების შესაბამისად. კერძოდ:

ა) ცხოველის სათანადო კვება და დარწყულება;

ბ) ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

გ) ცხოველისთვის საძილე ადგილის გამოყოფა-მოწყობა, დათბუნება და განათება;

დ) ცხოველის გასეირნება, მგზავრობა,სათანადო ფიზიკური აქტივობა და ღონისძიებებში გამოყენება „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი უსაფრთხოების წესების დაცვით;

ე) ცხოველისთვის სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნა;

ვ) ვეტერინარული შემოწმება, კომპლექსური ვაქცინაცია, დეჰელმინთიზაცია და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება;

ზ) ანტირაბიული ვაქცინაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ) ცხოველის გამრავლების უნარის შეწყვეტა სტერილიზაციით/კასტრაციით „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

ი) ცხოველის გამრავლების უნარის შეწყვეტა მისთვის სხვა უვნებელი, ვეტერინარული წესებით დასაშვები მეთოდით სამედიცინო ჩვენების საფუძველზე სტერილიზაციის/კასტრაციის მეთოდის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში;

კ) ცხოველის დაუყოვნებლივ გადაყვანა ვეტერინარულ დაწესებულებაში მისი ავადობის შემთხვევაში;

ლ) ცხოველის დაკარგვის/დაღუპვის შესახებ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსთვის 24 საათის განმავლობაში შეტყობინება ;

მ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ან სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტოს“ ინფორმირება ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან/და ადამიანის დაკბენის/დაკაწვრის/დადორბვლის ფაქტის შესახებ, თუ არსებობს ეჭვი ცოფით ან ცხოველიდან ადამიანზე გადამდები სხვა საშიში დაავადებით დაინფიცირებაზე/დაავადებაზე;

ნ) ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან/და ადამიანის დაკბენის/დაკაწვრის/დადორბვლის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მასზე ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება იზოლირებულად, მეპატრონის ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე ან თავშესაფარში;

ო) საზოგადოებრივი სივრცის მყისიერი დასუფთავება ცხოველის მიერ მისი დაბინძურების შემთხვევაში;

პ) ცხოველის ლეშის განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. პოტენციურად მომეტებული რისკის მქონე ძაღლის პატრონი ვალდებულია, ცხოველის საცხოვრებელი ტერიტორიის ყველა შესასვლელთან განათავსოს თვალსაჩინო გამაფრთხილებელი წარწერა ან შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც წაკითხვადი/აღქმადი უნდა იყოს დღე-ღამის ნებისმიერ დროს.

5. დაუშვებელია ცხოველის უპატრონოდ ან მეთვალყურეობის გარეშე მიტოვება. ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ან/და მეპატრონისა და ცხოველის თანაარსებობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომის შემთხვევაში, ცხოველის მეპატრონე ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ცხოველი ჩააბაროს ცხოველთა თავშესაფარში, შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, ცხოველთა თავშესაფარში ცხოველის ჩაბარებამდე, მეპატრონე ან მისი წარმომადგენილი ვალდებულია ქმედითი ღონისძიებები გაატაროს ცხოველისთვის ახალი მეპატრონის მოძიების მიზნით.

6. ცხოველის მეპატრონე ვალდებულია 10 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს მარეგისტრირებელი ორგანოს ინფორმირება, თავისი ან/და ცხოველის საცხოვრებელი ადგილის, საკონტაქტო ან ცხოველის რეგისტრაციისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა მონაცემების შეცვლისას, სარეგისტრაციო მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით.

7. ცხოველის მეპატრონე ვალდებულია 10 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს მარეგისტრირებელი ორგანოს ინფორმირება, საკუთრებაში არსებული ცხოველის ნაყარის და მისი გასხვისების თითოეული ფაქტის შესახებ, ნაყარის შემდგომი რეგისტრაციის წინაპირობების შექმნისა და ამ წესის სხვა მიზნების უზრუნველსაყოფად.

8. აკრძალულია ცხოველთა ორთაბრძოლების გამართვა.

9. აკრძალულია ცხოველის შეყვანა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში (გარდა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის შემთხვევისა), ასევე საავადმყოფოში, გარდა კატისა და მცირე ზომის ძაღლისა, რომელთა შეყვანა დასაშვებია ხელში აყვანით ან სპეციალური გადამყვანის (კონტეინერის, ჩანთის) მეშვეობით, აგრეთვე ასისტენტი ძაღლისა.

10. აკრძალულია ცხოველების შეყვანა სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებში, ასევე, იმ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, დაწესებულებებსა და ტერიტორიებზე, სადაც არის შესაბამისი აკრძალვის ნიშანი. ცხოველის დაშვების ამკრძალავი ნიშნის განთავსების შემთხვევაში ობიექტის მესაკუთრე/მფლობელი ვალდებულია მიმდებარე ტერიტორიაზე განათავსოს ცხოველის მისაბმელი.

11. დასაშვებია ცხოველის ლეშის:

ა) დამარხვა, საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე;

ბ) კრემაცია;

გ) მოთავსება ბიოთერმულ ორმოში.

12. ძაღლის ყოლა ღია სივრცეში, მათ შორის, ბულვარში, პარკში ან სკვერში ნებადართულია საბლით ან ალიკაპით (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა). ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ძაღლის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაყვანა ნებადართულია მხოლოდ საბლით ან ალიკაპით, ან სპეციალური კონტეინერით.

13. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თანმყოლი, შეზღუდული უნარების კომპენსირებისთვის სპეციალურად გაწვრთნილი და აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატის ასისტენტი ძაღლების მეპატრონეებს (მფლობელებს, მსგავსი ძაღლების დახმარებით მოსარგებლე პირებს), აქვთ ზემოხსენებულ ცხოველებთან ერთად

დაუბრკოლებლად გადაადგილების უფლება საზოგადოებრივი ტრანსპორტით და დანიშნულების ადგილებში (სავაჭრო ობიექტები, საბანკო დაწესებულებები და სხვა).

14. ცხოველის დაავადების შემთხვევაში, ცხოველის მეპატრონე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ვეტერინარულ დაწესებულებას, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანისა ან/და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადების დადგენის შემთხვევაში, ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ წესის პირობებით დადგენილი ცხოველის ევთანაზია და მისი შემდგომი დამარხვა/კრემაცია/მოთავსება ბიოთერმულ ორმოში;

ბ) ცხოველის მეპატრონის მოთხოვნის და მკურნალობის საფასურის უზრუნველყოფის შესაძლებლობის შემთხვევაში, ცხოველის შესაბამისი მკურნალობა.

15. ცხოველის კვლევის, მკურნალობის, ევთანაზიის და დამარხვის/კრემაციის/ბიოთერმულ ორმოში მოთავსების ხარჯებს ანაზღაურებს ცხოველის მეპატრონე.

16. ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ან/და მეპატრონისა და ცხოველის თანაარსებობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომისა და ცხოველის მეპატრონის მიმართვის შემთხვევაში, ცხოველის გადაყვანას თავშესაფარში და შემდგომი პროცედურების ჩატარებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო.

17. ამ მუხლის მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული მკურნალობის პროცესის სათანადოდ და სრულად ჩატარების და მკურნალობის პროცესში ადამიანებისა და სხვა ცხოველებისათვის საშიში დაავადების გავრცელების პრევენციის ღონისძიებების გატარების ვალდებულება, კომპეტენციის ფარგლებში აკისრია როგორც ცხოველის მეპატრონს, ისე შესაბამის ვეტერინარულ დაწესებულებას.

18. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული მკურნალობის პროცესში ცხოველის მეპატრონე დაარღვევს დანიშნული მკურნალობის მეთოდიკას, პროცედურებს და ვადებს, ცხოველის მეპატრონეს ეკისრება პასუხისმგებლობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

19. ადამიანისა ან/და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადების დადგენის შემთხვევაში, ასევე ევთანაზიის თუ ამ მუხლის მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული მკურნალობის ყოველი ფაქტის შესახებ, ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს დაუყოვნებლივი ინფორმირება.

20. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული მკურნალობის პროცესში ცხოველის მეპატრონე დაარღვევს დანიშნული მკურნალობის მეთოდიკას, პროცედურებს და ვადებს, ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია

დაუყოვნებლივ მოახდინოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება აღნიშნულთან დაკავშირებით, ცხოველის მეპატრონის მიმართ შესაბამისი ზომების გატარების მიზნით. ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვეტერინარულ დაწესებულებას ეკისრება პასუხისმგებლობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ცხოველის მიკედლება

1. ფიზიკურ პირსა და იურიდიულ პირს უფლება აქვთ, უზრუნველყონ უპატრონო ცხოველის მიკედლება.

2. მიკედლების საფუძველია მიმკედლებლის რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში. მიკედლება წყდება მიმკედლებლის განცხადების საფუძველზე ან მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

3. ცხოველის მიკედლება დასაშვებია მხოლოდ სტერილიზაციის/კასტრაციის შემდეგ.

4. დაუშვებელია ცხოველის მიკედლება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, სამედიცინო დაწესებულებისა და მეტროპოლიტენის შენობებში, აგრეთვე საბავშვო და სპორტულ მოედნებზე.

5. მიმკედლებელს უფლება აქვს, უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის:

ა) ვეტერინარული მომსახურება;

ბ) დაავადებების პროფილაქტიკა და დიაგნოსტიკა;

გ) დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

6. ცხოველის კეთილდღეობის პრინციპების გათვალისწინებით მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის კვება-დარწყულება;

ბ) უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის ანტირაბიული ვაქცინაცია, ხოლო ანტირაბიული ვაქცინაციის უზრუნველყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში – მიმართოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს;

გ) მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, თუ მიკედლებულ ცხოველს გამოუვლინდა სხვა ცხოველისთვის ან/და ადამიანისთვის საშიში დაავადება ან ასეთი დაავადების საეჭვო ნიშნები;

დ) ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიკედლებულ ცხოველთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებების შეუფერხებლად განხორციელებას, მათ შორის, მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია ცხოველის მდგომარეობის შესახებ;

ე) მიკედლებაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში ამის შესახებ აცნობოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს და მიმკედლებლად რეგისტრაციის გაუქმებამდე განაგრძოს ცხოველის მეთვალყურეობა;

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიკედლებული ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო თავის სისტემაში შემავალი მუნიციპალური თავშესაფრის ან თავის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

მუხლი 8. პატრონიანი ცხოველის მოშენება

1. ცხოველის პოპულაციის მართვის მიზნით ცხოველი ექვემდებარება სავალდებულო სტერილიზაციას/კასტრაციას, გარდა „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. სანაშენე ცხოველის მოშენება დასაშვებია საშენის მიერ ან არაკომერციული მიზნით მეპატრონის მიერ „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოშენების წესისა და ვადების შესაბამისად.

3. ცხოველის მიზნობრივი და გეგმაზომიერი მოშენების უზრუნველსაყოფად აკრძალულია:

ა) პოტენციურად მომეტებული რისკის ძაღლის გამრავლება;

ბ) ნარევი (მეტისი) ცხოველის გამრავლება;

გ) იმ ცხოველის გამრავლება, რომელიც იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული არ არის მონაცემთა ერთიან ბაზაში;

დ) ცხოველის შეჯვარება სხვა სახეობის ცხოველთან.

4. სანაშენე ცხოველის გამრავლებაზე თანხმობას გასცემს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვეტერინარული დაწესებულების მიერ გაცემული ჯანმრთელობის შესახებ ცნობისა და კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულების მიერ გაცემული ჯიშიანობისა და მოსაშენებლად ვარგისობის თაობაზე ცნობის საფუძველზე.

5. მეპატრონეზე სანაშენე ცხოველის გამრავლებაზე შესაბამის თანხმობას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო გასცემს ერთჯერადად, 2 წლის ვადით, მისი 1 წლამდე ვადით გაგრძელების უფლებით.

6. მეპატრონის მიერ სანაშენე ცხოველის გამრავლების შედეგად მიღებული ნაყარის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ხორციელდება "შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონმით დადგენილი წესით.

7. მეპატრონის მიერ გამრავლებული სანაშენე ცხოველი ექვემდებარება სტერილიზაციას/კასტრაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ვადაში. საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი სტერილიზაციისგან/კასტრაციის ვალდებულებისგან მეპატრონის გათავისუფლების წესს განსაზღვრავს „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონი.

მუხლი 9. უპატრონო/მიკედლებული ცხოველების პოპულაციის მართვა და კონტროლი

1. ურბანულ გარემოში ბინადარი უპატრონო/მიკედლებული ცხოველების პოპულაციების მართვა და კონტროლი, მათზე ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება და ამ წესით განსაზღვრული სხვა მიზნების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

2. ცხოველების პოპულაციების მართვის ძირითადი და პრიორიტეტული მეთოდია ცხოველების შობადობის შემცირების უზრუნველყოფა.

3. ურბანულ გარემოში ბინადარი უპატრონო/უმეთვალყურეო/მიკედლებული ცხოველების შობადობის და რაოდენობის შესამცირებლად გამოიყენება სტერილიზაცია/კასტრაციის პროცედურები და მსოფლიოში აპრობირებული, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული სხვა ჰუმანური მეთოდები.

4. ცხოველთა დაჭერა დასაშვებია მხოლოდ ჰუმანური, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მეთოდებით. მეძუძური ცხოველის დაჭერა დასაშვებია მხოლოდ ნაყართან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცხოველს ესაჭიროება გადაუდებელი ვეტერინარული დახმარება. მიკედლებული ცხოველის დაჭერის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მიმკედლებელს.

5. ცხოველებისგან ადამიანებისა ან/და ცხოველებისათვის მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებისა და ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის მიზნით, ამ წესით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მოახდინოს ცხოველების დაჭერა, იზოლაცია და

მათზე ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება, შემდგომი პროცედურების უზრუნველსაყოფად.

6. ცხოველებისგან ადამიანებისა ან/და ცხოველებისათვის მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, სავალდებულო დაჭერას, შემდგომი პროცედურების უზრუნველსაყოფად ექვემდებარება:

ა) ადამიანისა ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელი, აგრესიის აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე ცხოველები;

ბ) ადამიანის ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისათვის საფრთხის მატარებელი, საშიში დაავადებების აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე ცხოველები;

გ) უმეთვალყურეო ცხოველები, რომლებმაც მოახდინეს ადამიანის ან ცხოველის დაკბენა/დაკაწვრა/დადორბვლა;

დ) სავარაუდოდ დაკარგული ან უპატრონოდ/მეთვალყურეობის გარეშე მიტოვებული ცხოველები, რომელთა ჯიშის გარეგანი მახასიათებლები ან/და იდენტიფიკაციის ვიზუალური ნიშნები ან/და ქცევითი თავისებურებები მიუთითებენ, რომ ცხოველს შესაძლოა ჰყავს პატრონი;

ე) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩენილი ტრავმირებული და განსაცდელში მყოფი ცხოველები.

7. ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის ამოცანების უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია თანმიმდევრობით მოახდინოს:

ა) ცხოველების დაჭერა ჰუმანური მეთოდებით;

ბ) ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში გადამოწმება;

გ) ცხოველების იზოლაცია ჰუმანური მეთოდებით;

დ) ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობის (კლინიკური და ლაბორატორიული კვლევით) და ქცევითი თავისებურებების (დაკვირვების შესაბამის პირობებში და სპეციალური მეთოდიკით) დადგენა;

ე) ჯანმრთელი და არააგრესიული ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაცია;

ვ) ცხოველების პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;

ზ) ცხოველების ანტირაბიული ვაქცინაცია;

თ) ცხოველების იდენტიფიკაცია;

ი) ცხოველების მიკედლება ან ბინადრობის პირვანდელ თუ სხვა, მიზანშეწონილ არეალში დაბრუნება.

8. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება ცხოველთა პოპულაციის მართვისა და კონტროლის მიზნით.

9. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, კომპეტენციის ფარგლებში, არსებული რესურსების გათვალისწინებით, ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ფიზიკურად ჯანმრთელი და არააგრესიული უპატრონო ცხოველების სხვა კატეგორიაში გადასაყვანად, მათთვის ახალი მეპატრონის მოძიების ან მიკედლების უზრუნველსაყოფად. მათ შორის, ცხოველის ფოტოსურათისა და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ვებგვერდზე ან/და სოციალურ ქსელებში განთავსებას), ხოლო ამ ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – დაარეგისტრიროს ცხოველი, როგორც უპატრონო ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

10. ცხოველთა თავშესაფრიდან, ახალი მეპატრონისა თუ მიმკედლებელისათვის გადასაცემი, ასევე ბინადრობის პირვანდელ არეალში დასაბრუნებელი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო ქირურგიულ ან მედიკამენტურ სტერილიზაციას, დადგენილი მეთოდიკითა და საშუალებებით. გამონაკლისი დაიშვება თავშესაფრიდან ახალი მეპატრონისა თუ მიმკედლებელისათვის გადასაცემ ცხოველებზე, ცხოველის გადაცემის მომენტიდან 1 თვის ვადაში სტერილიზაციის/კასტრაციის ოპერაციის ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ მეპატრონის ან მიმკედლებელის მიერ წერილობით აღებული ვალდებულების ან ახალი მეპატრონის სურვილისა და ცხოველის ჯიშის დოკუმენტალურად დადასტურების შემთხვევაში.

11. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული შეტყობინების საფუძველზე ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აღმოჩენის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შინაური ცხოველის (ძაღლი, კატა) ლეშის შესაძლო იდენტიფიკაციას, ტრანსპორტირებასა და განკარგვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ცხოველთა თავშესაფარში შეყვანილი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას/აღრიცხვას, თავშესაფრიდან მათ გაყვანამდე.

13. თავშესაფრიდან ურბანული გარემოს პირვანდელ ან სხვა მიზანშეწონილ არეალში დასაბრუნებელი ან/და მისაკედლებელი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდება საყურე ნიშნით (საჭდით) – ძაღლის შემთხვევაში, ხოლო ტატუირებით და ყურის მცირედი (ვიზუალურად ფიქსირებადი) კუპირებით – კატის შემთხვევაში. თავშესაფრიდან გასაჩუქებელი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდება ამ წესით დადგენილი იდენტიფიკაციის ნებისმიერი საშუალებით.

14. თავშესაფარში შეყვანილი ცხოველების (ძაღლი, კატა) სავალდებულო იდენტიფიკაციას საჭდით ან ტატუირებით უსასყიდლოდ ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო, თავშესაფრის მესაკუთრის/მფლობელის სურვილის შემთხვევაში და წინასწარი განაცხადის საფუძველზე.

15. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია განახორციელოს აქტიური კომუნიკაცია და კოორდინაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტოსთან, მათ შორის, სადეზინფექციო ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ღონისძიებების ჩატარებით, ცოფის ან სხვა ზოონოზური დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 10. ცხოველების ევთანაზია და მოკვდინება

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრძალულია ცხოველის ევთანაზია არაჰუმანური მეთოდებით.

2. ცხოველის ევთანაზია უნდა განხორციელდეს ცხოველისთვის ფიზიკური ტკივილისა და ტანჯვის მიყენების გარეშე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებით ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებით.

3. ცხოველის ევთანაზია ვეტერინარის დასკვნის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება შესაბამის კვლევებს ან/და ვეტერინარულ დაკვირვებას, უნდა განახორციელოს მხოლოდ უფლებამოსილმა პირმა – ვეტერინარმა ან ვეტერინარმა ტექნიკოსმა ვეტერინარის ზედამხედველობით.

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცხოველის ევთანაზიის საფუძველი შეიძლება იყოს ცხოველის:

ა) არაკორექტირებადი აგრესიული ქცევა, რომელიც არ იძლევა სხვა ცხოველთან ან/და ადამიანთან მისი თანაარსებობის საშუალებას, მათ შორის, იდიოპათიური აგრესია (მყისიერი სიბრაზის სინდრომი) და დაკბენა, რომლებიც პროვოცირებული არ არის მისდამი აგრესიით ან არასათანადო მოპყრობით;

ბ) სრული დამბლა, პარეზი ან/და სხვა განუკურნებელი დაავადება;

გ) ცოფით დაინფიცირებაზე/დაავადებაზე საეჭვო შემთხვევა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების საფუძველზე;

დ) ისეთი ინფექცია, რომელიც განსაკუთრებით საშიშია ადამიანის ან/და ცხოველის ჯანმრთელობისთვის ან/და სიცოცხლისთვის;

ე) ისეთი ტრავმა ან/და დაზიანება, რომელიც სიცოცხლესთან შეუთავსებელია;

ვ) შეუქცევი დაუძლურება;

ზ) სიცოცხლესთან შეუთავსებელი თანდაყოლილი ნაკლი.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დასადგენად, გარდა ვეტერინარის დასკვნისა, აუცილებელია კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულების დასკვნა.

6. ცხოველის ევთანაზიის პროცედურის დასრულების შემდეგ ვეტერინარი უნდა დარწმუნდეს, რომ ცხოველი მკვდარია, რის შემდეგაც დასაშვებია მისი ლეშის განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ცხოველის ევთანაზიის შემდეგ დასაშვებია ცხოველის პათოლოგანატომიური გამოკვლევა.

8. ცხოველების ევთანაზია დაუშვებელია:

ა) დახრჩობით;

ბ) გაგუდვით;

გ) მოწამვლით;

დ) ელექტრომუხტის გამოყენებით;

ე) მექანიკური დაზიანების მიყენებით;

ვ) იძულებითი შიმშილით, წყურვილით;

ზ) ცეცხლსასროლი, პნევმატური, აირის თუ სხვა ტიპის იარაღის გამოყენებით;

თ) სხვა არაჰუმანური მეთოდებით, მათ შორის, რომელიც იწვევს ცხოველის ტანჯვა-წამებას, პროცესის ხელოვნურად გაჭიანურებას.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა და ხარჯების ანაზღაურება

1. პასუხისმგებლობა ამ წესის დარღვევისთვის განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

2. ამ წესის მოქმედება ვრცელდება ცხოველის პატრონზე, ხოლო ცხოველის მესაკუთრის/პატრონის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში - იმ პირზე, რომელიც ფაქტობრივად ახორციელებს ცხოველზე ზედამხედველობას და რომლის ქმედებითაც დაირღვა ამ წესით დადგენილი მოთხოვნები.

3. ამ წესის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მეთვალყურეობის გარეშე მყოფ ცხოველს, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო გადაიყვანს ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში (შემდგომში – სპეციალური ადგილი), ამ წესით დადგენილი, შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.

4. ამ მუხლის მე-3 პუქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია გაატაროს ამ წესით დადგენილი ღონისძიებები.

5. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი ცხოველი მეპატრონეს დაუბრუნდება მხოლოდ სპეციალურ ადგილზე ცხოველის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტების უფლებამოსილ ორგანოში წარდგენის შემდეგ.

6. სპეციალურ ადგილზე ცხოველის გადაყვანის და დღიური მოვლა-პატრონობის ხარჯი შეადგენს:

ა) გადაყვანა სპეციალურ ადგილზე - 100 (ასი) ლარს;

ბ) დღიური მოვლა-პატრონობა:

ბ.ა) ძაღლის - 15 (თხუთმეტი) ლარს;

ბ.ბ) კატის - 10 (ათი) ლარს.

7. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი, ამ წესის შესაბამისად იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული ცხოველი მეპატრონეს დაუბრუნდება მონაცემთა ერთიან ბაზაში ცხოველის მონაცემების შემოწმებისა და ცხოველის პატრონის/მფლობელის იდენტიფიკაციის საფუძველზე. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი ცხოველის მეპატრონისდადგენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია შეატყობინოს მეპატრონეს მის საკუთრებაში არსებული ცხოველის სპეციალურ ადგილზე გადაყვანის ფაქტის შესახებ, ამ ფაქტის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს სამი კალენდარული დღისა.

8. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი, იდენტიფიკაციის/რეგისტრაციის გარეშე მყოფი ცხოველი ფაქტობრივ მეპატრონს დაუბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ პირი წარადგენს უფლებამოსილ ორგანოში 2 (ორი) მოქალაქის მიერ ხელმოწერით დადასტურებულ და სანოტარო წესით დამოწმებულ ხელწერილს, რომ სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი ცხოველი წარმოადგენს მის საკუთრებას. სპეციალური ადგილიდან გაყვანამდე, იდენტიფიკაციის/რეგისტრაციის გარეშე მყოფი ცხოველი ექვემდებარება სავალდებულო იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას, ამ წესის საფუძველზე.

9. მეპატრონისთვის ცხოველის დაბრუნების შესახებ შედგება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენელი და ცხოველის მეპატრონე. მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაერთოს ცხოველის ფოტოსურათი.

10. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტებისა და მათი შინაარსის ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მათ წარმომდგენს.

11. დაჯარიმების თაობაზე გამოცემული აქტის გასაჩივრება არ ათავისუფლებს პირს სპეციალურ ადგილზე ცხოველის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურებისგან.

12. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალურ ადგილზე გადაყვანიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში არ დადგინდება ცხოველის მესაკუთრე/მეპატრონე, ან იგი არ მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს ცხოველის დაბრუნების მიზნით, ორგანო უფლებამოსილია, თანმიმდევრულად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ცხოველის გასხვისება (გაჩუქება)

ბ) ამ წესით დადგენილი სხვა ღონისძიებები — მათ შორის, ცხოველის ბინადრობის პირვანდელ არეალში დაბრუნება.“

მუხლი 12. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევაში კონფისკაციას დაქვემდებარებული ცხოველის სპეციალურ ადგილზე გადაყვანა

1. ამ მუხლით განსაზღვრული წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში კონფისკაციას დაქვემდებარებულ ცხოველზე.

2. კონფისკაციას დაქვემდებარებულ ცხოველს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო გადაიყვანს სპეციალურ ადგილზე, ამ მუხლით დადგენილი შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.

3. ცხოველის სპეციალურ ადგილზე გადაყვანიდან 10 (ათი) სამუშაო დღის შემდეგ, ცხოველის გაჩუქების მიზნით, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს ცხოველის ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში და სხვა) გამოქვეყნებას უფლებამოსილი ორგანოს ვებგვერდზე, ასევე, ცხოველთა შესახებ არსებულ სხვა პროაქტიულ სივრცეში (ვებგვერდები, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფორუმები, სხვა მედიასაშუალებები).

4. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი ცხოველი ჩუქების ფორმით გადაეცემა დაინტერესებულ პირს იმ შემთხვევაში, თუ იგი განაცხადებს წერილობით თანხმობას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ცხოველის ადგილსამყოფლის და მისი მოვლა-პატრონობის წესის დაცვის პერიოდულ გადამოწმებაზე.

5. სპეციალური ადგილიდან ცხოველის ჩუქებით გაყვანამდე, იდენტიფიკაციის/რეგისტრაციის გარეშე მყოფი ცხოველი ექვემდებარება სავალდებულო იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას, ამ წესის საფუძველზე.

6. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ღონისძიების გატარების შემდეგ, ცხოველი 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში არ გაჩუქდება, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო გაატარებს ამ წესით დადგენილ სხვა ღონისძიებებს.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადა შეჩერდება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი პირი გაასაჩივრებს მის მიმართ გამოცემულ საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს.

„წესის“ დანართი № 1

ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობა
№ 0000001

ცხოველი:

1. სახეობა .....
2. ჯიში .....
3. სქესი .....
4. ასაკი .....
5. <u>გარეგანი</u> აღწერილობა .....
   .....
6. იდენტიფიკატორი .....
   (ჩიპის, ან საჭდის, ან ტატუირების №)
7. მუდმივი ადგილსამყოფელის მისამართი .....

ცხოველის პატრონი:

1. სახელი, გვარი .....
2. პირადი № .....
3. მისამართი (ფაქტიური და რეგისტრაციის) .....
   .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)
   .....

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

„ ..... “ ..... 202 ... წ.
(თარიღი)

ბეჭდის
ადგილი

ცხოველის პატრონი:

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

„ ..... “ ..... 202 ... წ.
(თარიღი)

(ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობის № 0000001 მეორე მხარე ან დანართი)

ცხოველის საკონტროლო რეგისტრაცია

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 202 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 202 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 202 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 202 ... წ.

(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/

(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 202 ... წ.

(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/

(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 202 ... წ.

(თარიღი)

„წესის“ დანართი №2

უფლებამოსილი ორგანოსათვის წარსადგენი მონაცემები
(ცხოველთა ახალი სარეგისტრაციო და ჩატარებული ოპერაციების შესახებ)

.....

(ვეტერინარული დაწესებულების (ცხოველთა თავშესაფრის, კინოლოგიური კლუბის) დასახელება, ID, საანგარიშო თვე, წელი)

№	სარეგისტრაციო მოწმობის №	რეგისტრაციის თარიღი	რეგისტრაციის სახე			ცხოველი						პატრონი/მიმკედლებელი				ჩატარებული ოპერაცია, თარიღი		რეგისტრატორი (სახელი, გვარი, ტელეფონის №)
			პირველადი რეგისტრაცია	რეგისტრაცია ცხოველზე პატრონობის/ მეკედლეობის ფაქტის ლეგალიზაციის მიზნით	ნაყარის მიღებისა და ნაყარის გასხვისების ფაქტის რეგისტრაცია	სახეობა	ჯიში	სქესი	ასაკი	ელექტრონული აღწერილობა	იდენტიფიკატორი (ჩიპის, ან ბირკის, ან ტატუირების №)	სახელი, გვარი	პირადი №	მისამართი (ფაქტიური და რეგისტრაციის)	საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელ-ფოსტა)	სტერილიზაცია	კასტრაცია	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19

მონაცემები შეავსო-გადააგზავნა:

..... /სახელი, გვარი/

„ ..... “ ..... 202 ... წ.

(შედგენის თარიღი)

შენიშვნა: ცხრილი დგება და მონაცემები ივსება Excel-ის პროგრამაში.

„წესის“ დანართი №3

ცხოველების იდენტიფიკაციის რეესტრი

.....

(იდენტიფიკაციის განმახორციელებელი დაწესებულების დასახელება და ID ან ფიზიკური პირის სახელი, გვარი)

№	იდენტიფიკატორის №	იდენტიფიკატორის სახე			იდენტიფიკატორის აღწერა (ფორმა, ფერი, წარწერა)	იდენტიფიკატორის დადების თარიღი	ცხოველი					პატრონი/მიმკედლებელი				ჩატარებული ოპერაცია, თარიღი		იდენტიფიკაცია ჩატარა (სახელი, გვარი, ტელეფონის №)
		მიკროჩიპი	ტატუირება	ბირკა			სახეობა	ჯიში	სქესი	ასაკი	ექსტერიერის აღწერილობა	სახელი, გვარი	პირადი №	მისამართი (ფაქტიური და რეგისტრაციის)	საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელ-ფოსტა)	სტერილიზაცია	კასტრაცია	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19

მონაცემები შეავსო-გადააგზავნა:

..... /სახელი, გვარი/

„ ..... “ ..... 202 ... წ.

(შედგენის თარიღი)

შენიშვნა: ცხრილი დგება და მონაცემები ივსება Excel-ის პროგრამაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ საქმიანობის ჯეროვნად და ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანა. 2025 წლის 2 ივლისს ამოქმედდა საქართველოს კანონი ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ'' (შემდგომში - ,,კანონი“), რომელმაც არსებითად დაარეგულირა შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის საკითხები.

ახალი კანონის ძალაში შესვლამ განაპირობა შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის სფეროში არსებული მუნიციპალური რეგულაციების გადახედვისა და ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

დადგენილების მიღების მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს დამკვიდრება, რომელიც ახალი კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნება და უზრუნველყოფს მის ეფექტიან აღსრულებას მუნიციპალურ დონეზე. „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე მიზანშეწონილია დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი“, რომელიც თანხვედრაში იქნება კანონის მოთხოვნებთან. დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილება.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი პროექტის მიზანია დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი

პოპულაციების მართვის ახალი წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ'' საქართველოს კანონთან.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესს, რომელიც შესაბამისობაში იქნება „შინაური ბინადარი ცხოველების შესახებ" საქართველოს კანონთან და განსაზღვრავს ამ წესის ძირითად ამოცანებს, როგორიცაა:

- შინაური ბინადარი ცხოველისა და ადამიანის დაცვა სხვა შინაური ბინადარი ცხოველისგან მომდინარე საფრთხეებისგან;
- შინაური ბინადარი ცხოველის დაცვას არასათანადო ან სასტიკი მოპყრობისგან;
- შინაური ბინადარი ცხოველების კლასიფიკაციას, ზედამხედველობას და მოვლა-პატრონობის წესს;
- შინაურ ბინადარ ცხოველებთან მოპყრობის ჰუმანურ მეთოდებს;
- შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლებს.

კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, პროექტით განიმარტა და დაზუსტდა დადგენილებაში გამოყენებული ტერმინები, ჩამოყალიბდა შინაური ბინადარი ცხოველების რეგისტრაციისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის წარმოების ფორმა და წესი, დაზუსტდა ცხოველის პატრონის უფლებები და მოვალეობები, განისაზღვრა მიმკედლებლის უფლება-მოვალეობები. ასევე, დადგენილებაში აისახა ცხოველთა თავშესაფრებისა და საშენების საქმიანობის ფარგლები, მათი უფლებები და მოვალეობები. პროექტით ასევე კანონთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი შინაური ბინადარი ცხოველის გასეირნების, გადაადგილებისა და მგზავრობის წესი.

წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი იქნება შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესი „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.